დამაჯერებელი გამარჯვება

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 23 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – ცსკა 4:1 (3:1).

“დინამო”: გოგია (გაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე (სულაქველიძე), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

ცსკა: ნოვიკოვი, საუხი, შვეცოვი, ნიკოლაენკო, ოლშანსკი, გრიგორიევი, ჩესნოკოვი, კუხლევსკი (ბელენკოვი), ტარხანოვი, პოგორელოვი, პეტროსიანი.

მსაჯი: ს. სტროევი (მინსკი).

დუბლიორები – 0:3.

გაფრთხილებული არიან გრიგორიევი და კანთელაძე.

ამ გუნდების პირველი წრის მატჩში გამარჯვების შემთხვევაში მოსკოველი არიმელები, როგორც ველოსიპედისტები ამბობენ, ლიდერის მაისურს ჩამოართმევდნენ თბილისელ დინამოელებს, რადგან მათ მხოლოდ ერთი ქულა აშორებდათ ერთმანეთს გათამაშების ცხრილში. როგორც იცით, პირიქით მოხდა და მას შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის გუნდს არ დაუთმია წამყვანი პოზიციები, მაშინ, როცა ცსკა–მ მომდევნო ტურებში წარუმატებლად ითამაშა და ჩემპიონატის საფინიშო სწორზე გათამაშების ცხრილის შუაგულში დაიმკვიდრა ადგილი.

ამიტომ გუშინდელი მატჩის შედეგს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ თბილისელებისთვის: 2 ქულის მოხვეჭის შემთხვევაში თბილისის “დინამო” ჩემპიონობის უკვე რეალური პრეტენდენტი ხდებოდა.

მატჩის წინ წამოსულმა წვიმამ ცოტა არ იყოს შეაშფოთა ფეხბურთის გულშემატკივრები. შეშფოთება საფუძველს მოკლებული არ იყო: რა დასამალია და დინამოელებს უჭირთ სველ გრუნტზე თამაში. მაგრამ დაიწყო თუ არა მატჩი გულშემატკივართა ეჭვი სრულიად გააქარწყლეს თბილისელმა ფეხბურთელებმა. მათ თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და იგი თამაშის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. “დინამოს” აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პირველი ოცი წუთის განმავლობაში მათ 3–ჯერ აიძულეს არმიელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. ჯერ იყო და მე–2 წუთზე გ. მაჩაიძის ოსტატური ჩაწოდება ცსკა–ს კარის გასწვრივ კარგად გამოიყენა შენგელიამ, შემდეგ დარასელიამ (მე–9 წუთი) და ქორიძემ (მე–20) 3–მდე გაზარდეს ანგარიში. შესვენებამდე სტუმრებმა შეძლეს მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა (პოგორელოვი).

მეორე ტაიმში მდგომარეობა უფრო დაიძაბა, მაგრამ მაინც აშკარა იყო თბილისელთა როგორც ტექნიკური, ისე ტაქტიკური უპირატესობა. დინამოელთა გამარჯვებას წერტილი დაუსვა გუცაევის სოლო რეიდმა, რომელიც მოსკოველთა კარის აღებით დამთავრდა – 4:1.

ცხკა–სთან მატჩში მასპინძლებმა აჩვენეს მაღალი დონის თამაში და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ზ. ჯანდიერი.

“ლელო”, 24 ოქტომბერი, 1978 წ.